

სასწავლო პროცესი 21 იანვარს განახდდება



განათლების მინისტრმა მიხეილ ბატიაშვიდმა განაცხადა, რომ ამ ეტაპზე სასწავლო პროცესის დაწყების კიდევ გადავადების საჭიროება არაა.

“წითელაზე ძარიან აქტიურად ვართ ჩართული შესაბამის ორგანიზაციებთან. დღესაც გავაგრძელებთ რეკომენდაციები, რომელიც სკოლებში შესაბამისი მოქმედებების გატარებას შეეხებოდა. ორშაბათს სასწავლო პროცესი დაიწყება, მაგრამ საათობრივად გვექნება კომუნიკაცია სკოლებთან და შესაბამის ორგანოებთან. თუ რაღაც ჩარევა დასჭირდა ან რაღაც საფრთხე გაჩნდა, მზად ვართ, ნებისმიერი გადაწყვეტილება მივიღოთ, რადგან გვესმის, რამდენად მნიშვნელოვანია სწავლა, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია ბავშვების ჯანმრთელობა. ამიტომ ეს წითელას შეეხება თუ გრიპის ვირუსს, ყოველდღიურად დავაკვირდებით, სკოლებში ვივრით, ვნახავთ, პროცესი როგორ მიმდინარეობს და თუ რამე ნაბიჯის გადადგმა გახდა საჭირო, უსწრაფესად მივიღებთ კონკრეტულ გადაწყვეტილებას“, – განაცხადა მიხეილ ბატიაშვიდმა.

განათლების სამინისტრომ სასწავლო დაწესებულებებს სადემინგუჟციო სამუშაოების ჩატარების რეკომენდაციით დღეს მიმართა.